Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 37 (114) გამოც. მე-3 წელი ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი, 18 სექტემბერი, 1944 წ.

„რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, სხვაგვარად—გვიან იქნება"

ისტორიის საათი მალე თორმეტს დაჰკრავს. ევროპისათვის დაიწყება ახალი ეპოქა. ეს იქნება ან საყოველთაო ეკონომიური კეთილდღეობისა და მშვიდობიანი ცხოვრების ეპოქა, ან ეპოქა ევროპის ხალხთა დამონებისა, აშკარა თუ ფარული მზადებისა ბოლშევიკური და კაპიტალისტური სისტემის საშინელი შეჯახებისათვის.

სხვაგვარად არც შეიძლება იყოს: ან გამარჯვება გერმანიის ბლოკისა, ან გამარჯვება ბოლშევიკურ-კაპიტალისტური დროებითი კავშირისა.

ხშირად, როდესაც ფრონტის ცნობებს ვკითხულობთ, რუკასთან მივდივართ ბრძოლათა რაიონების მოსაძებნად. რამდენი ჩაბარებული ქალაქია აღმოსავლეთსა და დასავლეთში! თითქოს შეუკავებლად მოემართებიან ახალი ევროპის გულის — გერმანიის საზღვრებისაკენ მტრის სატანკო კოლონები.

მტრები, რომელნიც წინათ სიჩუმესა და მოლოდინს არჩევდნენ, ეხლა აქა-იქ თავს გამოჰყოფენ ხოლმე. მათი პრინციპი მარტივია, მაგრამ ამავე დროს უკიდურესობამდე მზაკვრული: „საითაც ქარი ჰქრის, მეც იქით წავალ"... ხუნტები სულით დაეცნენ. ისინი უკვე რწმენას ჰკარგავენ.

მაგრამ, ყველაფერ ამის დროს... მიწის ქვეშ და ზევით, მთებსა და ტყეებში დაზგები ისევ ისე მონოტონურად ტრიალებენ და ხმაურობენ. მზადდება ტანკები, თვითმფრინავები, ქვემეხები, რითაც ავსებენ დანაკარგებს ფრონტზე, უზრუნველყოფენ ახალ დივიზიებსა და კორპუსებს, არ აძლევენ მტერს შესაძლებლობას გადამწყვეტი გარღვევებისათვის. და ამავე დროს, რომელიღაც უცნობ, შეიძლება მიწისქვეშა კლდეებში, საიდუმლო თავსაცავებში მუშაობენ ახიათასობით მუშები იარაღზე, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ და რომელზედაც წარმოდგენაც კი არ შეგვწევს გვქონდეს. აი, სწორედ იქ იჭედება გამარჯვების ნამდვილი მახვილი.

„ის, ვინც იარაღს დაჰყრის თორმეტს ხუთი წუთი რომ დააკლდება, დაიღუპება". გერმანიამ ეს კარგად იცის და მომავალი გამარჯვების ღრმა რწმენით, დამშვიდებით ხაზეში შესცქერის მოახლოვებულ მტერს. წინანდებურად ყველა ისევ თავის ადგილას ასრულებს დავალებულ საქმეს. ხმაურის, ზედმეტი ფაციფუცის გარეშე გადის ეშელონი ეშელონზე იქით, სადაც ჰქუხს ქვემეხთა კანონადა.

შევაჩეროთ მტრის წინსვლა, მოვიგოთ თვითეული დღე, თვითეული საათი! — ასეთია მარტივი ამოცანა, რომელიც ფრონტს აქვს მიცემული. თვითეულ დღეს ომის სასწორზე ეხლა გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. დღის მოგება — ნიშნავს შეიქმნას რომელიმე უცნობი იარაღის რაიმე რაოდენობა, გაიზარდოს მისი მარაგი, ზოგიერთი რამ ახლად შემოწმდეს, გამოიცადოს..,

გერმანია არამარტო მშვიდად არის, არამედ ჩუმადაცაა. გაზეთებში თქვენ ვერ იპოვით გაკვრით მოყვანილ, თვით ბუნდოვან მითითებებსაც კი ახალი იარაღის შესახებ. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდება მომავალში. ხომ არ აფეთქდებიან და ჩაიძირებიან ლია ზღვაში ყოველგვარი ხილული მიზეზის გარეშე ინგლის-ამერიკელთა ტრანსპორტები? ან იქნებ თვითმფრინავებს შაგრში მოტორები გაუჩერდეთ? და რა არის ტანკების წინააღმდეგ გამოგონილი? ყველაფერი საიდუმლოებით არის მოცული.

ასეც უნდა ომის ინტერესებისათვის. საჭირო არ არის ცნობისმოყვარეობა, სჯობია ენას კბილი დავაჭიროთ. ვაშინგტონის, ლონდონისა და მოსკოვის კონტრდაზვერვებსაც არ სძინავთ. რის გაგება შესძლებ მათ, ჩვენ არ გვეუბნებიან, მაგრამ, ყოველშემთხვევაში, ის, რაც მათ შეიტყვეს, მათს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს.

ჩერჩილმა ამასწინათ განაცხადა:

„ჩვენ მოვალე ვართ შემოდგომისთვის რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გავათავოთ გერმანიასთან საქმე, სხვაგვარად..." აქ იგი მრავალწერტილს სვამს, წინადადებას არ ამთავრებს. როგორ — „სხვაგვარად"? სხვაგვარად მოქცევა დამარცხებას ნიშნავს! თუ შემოდგომამდე გერმანიამ შეაკავა ეს ორმხრივი დაწოლა, გამარჯვების სასწორიც მის მხარეზე გადაიხრება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ახალი შეიარაღება სამხედრო ტექნიკაში სრულ რევოლუციას მოახდენს. ეს ნიშნავს — მოწინააღმდეგის საბრძოლო საშუალებანი დაძველებული აღმოჩნდება, ხოლო ახალი საშუალებანი — გერმანელების ხელში იქნება. აქ დასკვნების გარეშე ყველაფერი ადვილი გასაგებია. აი, რატომ მუშაობს დრო გერმანიის სასარგებლოდ, აი, რატომ არის მისთვის ძვირფასი ახალი საიდუმლო იარაღის გამოყენებით გადამწყვეტი ბრძოლის გადაწევის ყოველი დღე.

იქამდის, სანამ ეს ფიზიკურად შესაძლებელია, გერმანია გადასწევს გადამწყვეტ დღეს, რათა საკმაო რაოდენობით დააგროვოს ახალი იარაღი და მოახდინოს ყველაზე მძლავრი და საბოლოო დარტყმა. დასავლეთსა და აღმოსავლეთში გერმანიას შეიძლება საკუთარ მიწაწყალზეც მოუხდეს თავდაცვა. მთავარია ახალი იარაღის დაგროვება, მისი გამოყენების საათის გადაწევა: რაც უფრო გვიან გამოიყენებს მას, იგი მით უფრო ძლიერი, მით უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობისა იქნება.

[illegible] ამოდენიმე კვირა.

ან მტერი მოსდრეკს გერმანულ თავდაცვის ძალას, შეავიწროებს ფრონტის ხაზებს და სატანკო ძალებით გაემართება იქით, სადაც ეხლა გამარჯვება იჭედება — ომის ახალ საშუალებათა საიდუმლო ქარხნებისაკენ;

ან გერმანია შეინარჩუნებს თავისი ფრონტის მთლიანობას, დროულად შეავსებს დანაკარგებს იმ მომენტამდე, როდესაც შესაძლებელი იქნება წარმოითქვას:

— დაჰკრა გადამწყვეტი დარტყმის საათმა, წინ!

გერმანელი ხალხის სიმშვიდე ზურგში და გერმანელი ჯარისკაცის გმირული წინააღმდეგობა ფრონტზე, წარმოადგენს იმის ყველაზე მნიშვნელოვან საწინდარს, რომ გერმანია ამ დრომდე ადვილად გასძლებს.

ჩვენი — ქართველი მოხალისეებისა და მთელი მებრძოლი ქართველი ხალხის ვალია, მაგალითი ავიღოთ მათგან. სადაც არ უნდა ვიდგეთ ჩვენ, ფრონტზე თუ ზურგში, ისევ კეთილსინდისიერად და ჩვენთვის ჩვეული ერთგულებით უნდა შევასრულოთ დაკისრებული ისტორიული მისია, როგორც ამას აქამდე ვასრულებდით. ჩვენც, გერმანელ ხალხსავით, სრული სიმშვიდითა და წესრიგით უნდა ვუცადოთ გადამწყვეტ მომენტს. ამ მომენტზე დამოკიდებულია ჩვენი დაბრუნება საყვარელ სამშობლოში, ამ მომენტზეა დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს არსებობისა და, ბოლოს, ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხიც. ის, ვინც ჩვენს შორის პანიკას მიეცემა ან ხელს შეუწყობს მის გავრცელებას, ისტორიის მსვლელობას ვერ შეაჩერებს, ვერ შესცვლის, თავისთავს კი ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს. ამ გადამწყვეტ დღეებსა და კვირებში ასეთებს ჩვენ თვითონ უნდა ჩავჩაროთ ბურთი პირში.

სიმშვიდე და სიმტკიცე, ერთგულება და მოვალეობის შეგნების გრძნობა — აი, რა მოგვეთხოვება ჩვენ ამ ისტორიულ წუთებში.

იაპონიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის გენერალი ოშიმას და ფიურერის შეხვედრა.

იაპონიის საიმპერიო საბჭოს საგანგებო სხდომა

6 სექტემბერს ზეიმით გაიხსნა იაპონიის საიმპერიო საბჭოს საგანგებო სხდომა. თავმჯდომარე ტოჯო, რომელსაც დაესწრნენ იმპერატორი ტენო, მთავრობის წევრები და სახელმწიფოს ხელმძღვანელი პირები, ჩატარდა გერმანიასთან კავშირში ომის საბო[illegible] გამარჯვებამდე მიყვანის შეურყ[illegible]ით.

იმპერატორის დეკლარაციაში, რომლის კითხვით დაიწყო უმაღლესი პალატის თავმჯდომარე, ნათქვამია, რომ აღმოსავლეთი აზიის დიდი სახელმწიფოს შექმნის საქმე განსაკუთრებული წარმატებებით სარგებლობს და იაპონიის მეგობრული თანამშრომლობა მოკავშირე სახელმწიფოებთან უფრო-და-უფრო მტკიცდება. იმპერატორმა, აღნიშნა რა არსებული სამხედრო მდგომარეობის დიდი სერიოზულობა, გამოსთქვა რწმენა, რომ გაერთიანებული ძალებით დღეს უფრო ადვილია საბოლოო გამარჯვების მიღწევა.

მცირე შესვენების შემდეგ სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი კოისო. მისი გამოსვლა, რომელიც გამოხატავდა იაპონიის მთავრობის დეკლარაციას, შემდეგს შეიცავს:

მიმდინარე მომენტში, როდესაც სწყდება ჩვენი ბედი, ასმილიონიანი ხალხის ყოფნაარყოფნის საკითხი, მე და ჩემთან ერთად ყველა ჩემი თანამემამულე, აღსავსენი ვართ საბოლოო გამარჯვების რწმენით. სამშობლოს შინაგანი ფრონტის მტკიცე ერთიანობით, გმირულად მებრძოლ ჯარებთან, ჩვენ მივაღწევთ მიზანს, დავამსხვრევთ შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტების ზრახვებს. ჩვენ გვაიძულეს ჩავრეულიყავით ამ ომში იმისათვის, რათა დაგვეცვა ჩვენი იმპერია და უზრუნველგვეყო მისი არსებობა. ბედის მიერ ლოდინებელი დარტყმება და სიძნელენი, რასაც განიცდის იაპონიის ხალხი, მხოლოდ ჰმატებს მას გმირობას და გამძლეობას. მტრის დაწოლამ, რომელიც ყოველდღე ძლიერდება, გვაიძულა კიდევ უფრო მჭიდროდ შევკავშირებულიყავით და დაგვეტქმა მთელი ჩვენი ძალები ერის სასიცოცხლო პირობების შესანარჩუნებლად. მან მხოლოდ უფრო მეტად განამტკიცა ჩვენი გადაწყვეტილება ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანის შესახებ.

ვლებულობთ რა მხედველობაში არსებული მდგომარეობის სერიოზულობას, — დაამთავრა თავისი სიტყვა მინისტრმა კოისომ, — იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა შექმნას უმაღლესი სამხედრო საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციას და მიზნად დაისახავს თავი მოუყაროს სახელმწიფოს ყველა ძალას საბოლოო გამარჯვების უფრო სწრაფად მიღწევისათვის.

საბჭოთა კავშირის თავდასხმა ბულგარეთზე

მოსკოვის რადიოსადგურის ცნობით, საბჭოთა კავშირმა ომი გამოუცხადა ბულგარეთს. მოსკოვში ბულგარეთის ელჩისადმი გადაცემულ ნოტაში ნათქვამია, რომ ეგრეთწოდებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკა იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ბულგარეთს უყენებს, არ შეესაბამება.

სოფიიდან იუწყებიან, რომ ომის გამოცხადების ნოტის მიღებისთანავე ბულგარეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდების წინადადებით მიმართა.

იმ დროს, როდესაც ბულგარეთის წარმომადგენლები ქაიროში ინგლის-ამერიკელებთან აწარმოებდნენ კაპიტულაციის შესახებ მოლაპარაკებას და აგრეთვე როდესაც ბულგარეთის ახალმა მთავრობამ გამოსთქვა მზადყოფნა საბჭოთა კავშირთან ნეიტრალური მდგომარეობის შენარჩუნებაზე, ბოლშევიკებმა ომი გამოუცხადეს ბულგარეთს და გადალახეს მისი საზღვრები, სანამ ბულგარეთიდან პასუხს მიიღებდნენ მათ მიერ წაყენებულ ულტიმატუმზე.

საბჭოთა კავშირის ასეთი „პოლიტიკა" ყველაზე უკეთ ახასიათებს მის იმპერიალისტურ სულისკვეთებას.

ბულგარეთის მთავრობა დაიმედებული იყო, რომ იგი ინგლის-ამერიკელებისაგან ზავის უფრო მეტ ხელსაყრელ პირობებს მიიღებდა და ამის გამო გერმანიასთან გასწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა.

როდესაც ბულგარეთის მთავრობის სხდომაზე ეს საკითხი ირჩეოდა, გამოცხადდა საბჭოთა წარმომადგენელი და გადასცა მინისტრ-პრეზიდენტს საბჭოთა კავშირის ნოტა ომის გამოცხადების შესახებ. ამრიგად, ბულგარეთის მთავრობის თხოვნა ზავის შესახებ უშედეგოდ დარჩა.

ბულგარეთის ახალი ეროვნული მთავრობა

ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, პროფესორი ალექსანდრე ცანკოვის ხელმძღვანელობით ბულგარეთში ჩამოყალიბდა ახალი ეროვნული მთავრობა. ა. ცანკოვი 1923 წლიდან 1926 წლამდე იყო ბულგარეთის მინისტრ-პრეზიდენტი, ხოლო რამოდენიმე წელს — ბულგარეთის პარლამენტის თავმჯდომარე. ბულგარეთში იგი ცნობილია, როგორც გერმანია-ბულგარეთის ახალი კავშირის მომხრე.

ახალმა მთავრობამ მიზნად დაისახა მომავალში განამტკიცოს გერმანია-ბულგარეთის შორის თანამშრომლობა.

რუმინელ მოღალატეთა ბედი

რუმინული დელეგაცია, რომელიც რამოდენიმე დღის წინათ მოსკოვში ჩავიდა საბჭოთა პირობების მისაღებად ზავის დადების შესახებ, ჯერ-კიდევ არ არის მიღებული კრემლის მმართველთა მიერ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მოლოტოვი მათთან მოლაპარაკების დაგვიანებას ხსნის ზოგიერთი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების აუცილებლობით.

აღნიშნული განმარტება ინგლისშიც კი არ სჯერათ. რეიტერი ჰფიქრობს, რომ ბოლშევიკებისათვის რუმინეთის დაკავება უკეთესია მოლაპარაკების დაწყებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ გამოიწვია თანამედროვე ომი?

მოხ. თ. ზაზელი

საკითხი კაცობრიობის კულტურის აკვანის — ევროპის მომავალზე, წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების ცენტრალურ ამოცანას. სამხრეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან დიდ კონტინენტზე თავს ესხმიან ევროპის მტრების მრავალრიცხოვანი არმიების მოიერიშე ტალღები. რა მოელის ევროპას? დაიღუპება ის თუ არა იმ ჭრილობებისაგან, რომელიც მან მიიღო? ევროპა წარმოადგენს კაცობრიობის გულს და მისი დაღუპვა ჩვენთვის ყველაზე ძვირფასის დაკარგვას ნიშნავს. ამერიკას არ შეუძლია დაიკავოს მისი ადგილი, ეს მითუმეტეს არ შეუძლია აზიას, ხოლო აფრიკას საამისო პრეტენზიებიც კი არა აქვს.

ვინ დააყენა ევროპა და მილიონიანი მასები კატასტროფის წინაშე? ვინ არის დამნაშავე ამ გამანადგურებელი ომის წამოწყებაში? რომელიც ადამიანი თავის თავს ასეთ კითხვას უსვამს, მასზე თვითონვე უპასუხებს: „ინგლისი". ლონდონში დღეს უკვე აღარ მალავენ იმას, რომ 1939 წელს გერმანიასთან ომის გამოცხადების მიზეზი სრულიადაც არ იყო პოლონეთი. მიზეზი იყო სულ სხვა, რომელიც არსებითად მაშინ უფრო ღრმად იმალებოდა. მსოფლიოსათვის ცნობილი მიზეზების გამო, რომლებიც ამტკიცებენ ინგლისის დანაშაულს ომის წამოწყებაში, მრავალი პასუხისმგებელი ინგლისელი იძულებული იყო „ბასრი" კითხვაზე, თუ რატომ დაიწყო ინგლისმა მეორე იმპერიალისტური ომი. დროდადრო საჭიროა მოვისმინოთ თვით ინგლისელების აზრი ინგლისის გეგმებზე, რათა ჩვენთვის ნათელი გახდეს, როგორი ეგოიზმი „უძევს" საფუძვლად ინგლისის პოლიტიკას.

ინგლისის ყოველთვიური ჟურნალის „ნაინტინს სენჩური ენდ აფტერის" ცნობილმა გამომცემმა; ფრედერიკ ვოიგტმა სიტყვა-სიტყვით შემდეგი აღნიშნა: „ინგლისს არა ჰყავს მუდმივი მტერი ევროპაში, რადგან ინგლისის სასიცოცხლო ინტერესები არ ეწინააღმდეგებიან ევროპის რომელიმე სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს. ინგლისის ერთადერთ მტერს წარმოადგენს ის სახელმწიფო ან ის კოალიცია, რომელიც სცდილობს ევროპის კონტინენტზე ბატონობას. ასეთი მტრის წინააღმდეგ ინგლისი მუდამ მზად უნდა იყოს. მზადყოფნა გამოიხატება როგორც მის სიძლიერეში, ისე მოკავშირეების მდგომარეობის მიხედვით ცვალებადობაში. როგორც იცვლება მტერი, ისე იცვლებიან ინგლისის მოკავშირეებიც. გუშინდელი მტერი შეიძლება ხვალ მოკავშირე გახდეს და პირიქით, გუშინდელი მოკავშირე ხვალ მოსალოდნელია მტრად გამოჩნდეს. ამ უბრალო მექანიზმს შეიძლება ეწოდოთ „წონასწორობის პოლიტიკა", ან ერთა ლიგას, ან თავდაცვის სხვა რომელსამე საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ან განიარაღებას არ შეუძლიათ შესცვალონ ეს უბრალო, მაგრამ ინგლისისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. სწორედ ასე იყო 1939 წელსაც.

საერთოდ მიღებულია, რომ გერმანიამ დაიწყო ომი მსოფლიო ბატონობისათვის. ჩემი აზრით, ეს არ არის სწორი. გერმანიას უნდოდა გამხდარიყო მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფო. მაგრამ მსოფლიო ბატონობა და მსოფლიო მნიშვნელობა ხომ ერთიდაიგივე არ არის! ჰიტლერი კმაყოფილი იქნებოდა გაეზიარებინა გავლენა ინგლისთან ერთად. მაგრამ ეს ნიშნავდა, რომ ინგლისს უნდა დაეთმო ევროპა გერმანიისათვის, რაც, რასაკვირველია, ინგლისს არ სურდა. „წონასწორობის პოლიტიკა" დაცული უნდა იქნას ყოველთვის. ამიტომ იყო, რომ ინგლისმა დაიწყო ომი 1939 წელს. პოლიტიკური სახე იმ სახელმწიფოსი, რომელიც საფრთხის წინაშე აყენებს „წონასწორობას", სულერთია. გერმანია სამაგალითო დემოკრატიული სახელმწიფოც რომ ყოფილიყო, ინგლისი კი ხელმძღვანელობდეს ისეთი პოლიტიკური სისტემით, რომელიც ცოტადთუბევრად მსგავსი იქნებოდა ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური პოლიტიკისა, ინგლისი მაინც იძულებულია დაიცვას „წონასწორობის" უძველესი კანონი. სწორედ ამიტომ შეიძლება თამამად ითქვას, რომ პოლიტიკური სისტემის შეცვლა გერმანიაში არ იქნებოდა მიზეზი ინგლისის პოლიტიკის შესაცვლელად. ინგლისისათვის ერთი რამ მუდამ ნათელია: მშვიდობიანობა სახელმწიფოთა შორის უნდა განისაზღვრებოდეს ევროპაში არსებულ ძალთა შეფარდებით და არა შინაურული, ნაციონალ-სოციალისტური, სოციალისტური ან კომუნისტური მოძღვრებით. დემოკრატიული მმართველობის მქონე, მაგრამ სუსტი გერმანია, ინგლისისათვის უფრო მისაღები იქნებოდა, ვიდრე ლიბერალური, მაგრამ ძლიერი გერმანია".

ინგლისელი კონსერვატორის ეს სიტყვები იძლევა დიდი ბრიტანეთის ევროპული პოლიტიკის კლასიკურ ფორმულირებას.

თუ დღეს ევროპა სდგას საკითხის წინაშე: ცხოვრება თუ ქაოსი, თავისუფალი ხალხი თუ საბჭოთა მონობა, ამაში მხოლოდ-მხოლოდ ინგლისია დამნაშავე. ისტორია არასდროს არ აპატიებს ინგლისს ამ დიდ ბოროტმოქმედებას! ინგლისის პოლიტიკოსები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა შეუნარჩუნონ ბრიტანეთს მსოფლიო ბატონობა. დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა, ეს არის ხალხთა გაცვლის, ღალატისა და დამონების პოლიტიკა.

ინგლისელი პოლიტიკოსები და დიპლომატები ჰფიქრობენ, რომ ბევრი სხვა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა დამოკიდებულია ინგლისის საგარეო პოლიტიკაზე. დღეს შეიძლება, რომ ეს მართალია. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხალხი, დაყრდნობილი ინგლისის პოლიტიკაზე და ინგლისელებზე, ბოლომდე დარჩენილიყო მათ მეგობრად. ინგლისელები გამოიყენებენ რა მათ პირადი ინტერესებისათვის, შეუბრალებლად მიატოვებენ შუა გზაზე და კბილს ჩააყლაპებენ ახალ მსხვერპლს. შორს წასვლა საჭირო არ არის. მოვიგონოთ მიმდინარე ომის დასაწყისი, ინგლისის დაპირებები ჩეხო-სლოვაკიის მთავრობისადმი, პოლონეთისადმი და საფრანგეთისადმი. არცერთი ამ დაპირებათაგანი ინგლისს არ შეუსრულებია. ის აკეთებს მხოლოდ იმას, რაც ინგლისის მსოფლიო ბატონობას აძლიერებს და მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ასუსტებს.

ინგლისისა და ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა, თავიანთი მთავრობის დავალებით აიძულეს საფრანგეთის მთავრობა ომი გამოეცხადებინა გერმანიისათვის, დაჰპირდნენ რა დაუყოვნებლივ სამხედრო დახმარებას. მაგრამ დაიწყო თუ არა ომი, იმის ნაცვლად, რომ ინგლისს პირობისამებრ თავისი ჯარის ახალი ნაწილები გაეგზავნა საფრანგეთის დასახმარებლად, თვით საფრანგეთის ტერიტორიაზე მყოფმა ინგლისურმა ჯარებმა ბრძოლის ქარცეცხლში მიატოვეს საფრანგეთი და ინგლისის კუნძულს მიაშურეს.

ჩერჩილი პოლონეთსაც დაჰპირდა სამხედრო დახმარებას გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ დაიწყო თუ არა ომი, მას ხელიც არ გაუნძრევია დაპირების შესასრულებლად. მის მიზანს სულ სხვა რამე წარმოადგენდა და ეს „სხვა რამე", გერმანიისა და პოლონეთის შორის ომის დამთავრების შემდეგ მან ხელთ იგდო კიდეც და თითქოს პოლონეთის დიდი მოამაგე, ამ საფუძველზე ომში ჩაება. ჩერჩილს სურდა პოლონეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილიყო — აცხადებენ ინგლისელი გავლენიანი პირები. კარგი, ერთი წუთით დავუჯეროთ ყოველივე ეს. ჩერჩილმა თითქოს კიდეც შექმნა მთავრობა ლონდონში მომავალი დამოუკიდებელი პოლონეთისათვის, მაგრამ როდის შეუსრულებია მას პირობა, ეხლა რომ შეასრულოს? რატომ არაფერს ლაპარაკობს ჩერჩილი ეხლა, როდესაც ჯუღაშვილის გაუმაძღარმა მადამ თითქმის პოლონეთის დიდი ნაწილი და იქ თავისი „პროლეტარული" მთავრობა დასვა? სად არის ჩერჩილი თავისი დაპირებებით და პოლონეთის დამოუკიდებელი მთავრობით? ის, რაც დღეს ხდება პოლონეთის ტერიტორიაზე, ჩერჩილს თითქოს არც ესმის და არც ხედავს. უფრო მეტი: პოლონეთის მთავრობისადმი დაპირების შესრულების ნაცვლად, მან ჯუღაშვილის ბრძანებით მოკლა პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარე გენერალი სიკორსკი...

მეორე იმპერიალისტურმა ომმა, ჩერჩილის მიხედვით უნდა მოუტანოს თავისუფლება ევროპას! ეჭვი არ არის, რომ ბრიტანეთის იმპერიას დღეს თუ არა ხვალ შეერთებული შტატები დაიპყრობენ და მისი ინტერესების ზონა ბოლშევიკების ბატონობის სფეროში გადავა. ევროპა კი ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდება ინგლისის გავლენისაგან.

ნამდვილი ევროპელისათვის ძნელი გასაგები არ იყო, რატომ უცქეროდა ასე ცივად და უარყოფითად ინგლისი ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის უმაგალითო წინსვლას. გერმანიის დიპლომატია ომის დაწყებამდე მზად იყო მიეცა ყოველგვარი გარანტიები ინგლისისათვის იმაში, რომ გერმანიას არ სურს შეეხოს ინგლისის გავლენას და მის კოლონიურ სამფლობელოებს. გერმანელი ხალხისა და მისი ფიურერის დიდი პროგრესული როლი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მან პირველად აღიმაღლა ხმა ევროპისადმი ბოლშევიკების მისწრაფების წინააღმდეგ. ინგლისს რომ არ ეწარმოებინა მისთვის დამახასიათებელი მუხანათური პოლიტიკა, მიუნხენის შეთანხმება შეიძლება გამხდარიყო კეთილდღეობისაკენ შემობრუნების პუნქტად, მაგრამ ფიურერის მიერ მრავალჯერ შეთავაზებული მშვიდობიანობის ნაცვლად, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები თვით ჩაებნენ ომში. ამის შემდეგ ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ უკვე იწყებოდა დიდი ბრიტანეთის ნგრევის ხანა. უკანასკნელი წლებისა და განსაკუთრებით კი თვეების განმავლობაში მოვლენათა განვითარებამ დაამტკიცა ზემოხსენებულის სიმართლე. შეერთებული შტატების ხელისუფალთა გაუმაძღარი მადა და აშკარა მიდრეკილება ბრიტანეთის კოლონიების დაპყრობისაკენ, უფრო-და-უფრო მეტი სიძლიერით აშკარავდება. ჯუღაშვილმა მოსკოვისა და თეირანის კონფერენციაზე აშკარად განაცხადა პრეტენზიები ევროპაში ბატონობაზე, რაზედაც რუზველტი და ჩერჩილი იძულებული იყვნენ დასთანხმებოდნენ. მართალია, ევროპაში ბოლშევიკების გაბატონება გერმანიის დამარცხებას იქნებოდა, მაგრამ ამავე დროს იგი ინგლისის იმპერიის სრულ კატასტროფასაც მოასწავებდა. ბრიტანეთი უკვე აღარ იქნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფო და დაჰკარგავდა იმ „წონასწორობას", რომლის გულისთვის ასე უწყალოდ ჰლეტს მილიონობით ინგლისელ მუშასა და გლეხს. ინგლისი ძალაუნებურად თვით დადგა იმ კატასტროფის წინაშე, რომლისაკენ მრავალი წლების განმავლობაში მიერეკებოდა სხვადასხვა სახელმწიფოებს.

ევროპის ხალხებისათვის ეხლა უკვე ნათელია, რომ ინგლისის მიმართ, რომლის გონზე მოყვანა ვერ შესძლეს ვერც ხელშეკრულებებით, ვერც დათმობებით, ვერც კეთილი სურვილებით და ვერც თავიანთი ინტერესების მოგონებებით, რჩება მხოლოდ ერთადერთი საშუალება, რომელსაც იარაღი ეწოდება.

ის, რომ მან დაანთო მეორე იმპერიალისტური ომის ცეცხლი, უღალატა ევროპას და დაუთმო იგი ბოლშევიკებს გასანადგურებლად, რომ მოაწყო საჰაერო ტერორი და მიმართა ის მშვიდობიანი მოსახლეობისა და ევროპის კულტურის წინააღმდეგ, წარმოადგენს უდიდეს დანაშაულს, რომლისთვის მან კაცობრიობის წინაშე სასტიკი პასუხი უნდა აგოს.

დიდი თავდაცვითი ბრძოლები აღმოსავლეთში.

აღმოსავლეთის ფრონტის მოწინავე ხაზზე.

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

გასული კვირის განმავლობაში ბელგიის ტერიტორიაზე, მის ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილში უმძაფრესი ბრძოლები გრძელდებოდა. განსაკუთრებით ქ. ანტვერპენის, ჰასელტისა და ლიეჟის (ლუტიხის) არეში. მძაფრი ბრძოლებია აგრეთვე ბელგიის სამხრეთით, ქ. მეცის (ლოთარინგია), ნანსისა და ლუქსემბურგის რაიონებში.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის 13 სექტემბრის ცნობით, გერმანულმა ჯარებმა შეაჩერეს მტრის შემოტევა ქ. ჰასელტის ჩრდილოეთით და ქ. ვერვიერის არეში გერმანული ქალაქის აახენის მიმართულებით.

მდ. მოზელის ზემოდინებაზე ამერიკელი ჯარები მიიწევენ ქ. ლუნევილისაკენ. სასტიკი ბრძოლა სწარმოებს ქ. ნევშატოს გარშემო. მტრის მოწოლა ქ. ვეზულსა და შვეიცარიის საზღვარს შორის გრძელდება.

მოწინააღმდეგემ გააძლიერა იერიშები გამაგრებულ ნავსადგურებზე. კალესა და დიუნკირხენის გარნიზონები მედგრად იგერიებენ მტერს. ლე ჰავრში და ბრესტში მოწინააღმდეგემ შესძლო შემოჭრა აურაცხელი მსხვერპლის გაღებით. გერმანული ნაწილები უკანასკნელ შესაძლებლობამდე თავგანწირვით იბრძვიან.

საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე, ალპების გადასასვლელებზე სწარმოებს ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები.

იტალიაში გერმანული ჯარები წარმატებით იგერიებენ მტერს მდ. არნოს ჩრდილოეთით და ადრიატიკის ზღვის სანაპიროებზე.

უნგრეთში, სამხრეთ ზიბენბურგენში გერმანულმა და უნგრულმა ჯარებმა უკუაგდეს მტრის ძლიერი შემოტევები.

პოლონეთში, ქ. სანოკსა და კროსნოსთან გრძელდება მტრის სასტიკი იერიშები. ვარშავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდინარეობს მძაფრი ბრძოლები. აქ მტერმა მრავალრიცხოვანი საომარი თვითმფრინავებისა და ტანკების საშუალებით შესძლო გერმანულ ხაზში ერთ ადგილას შემოჭრა. უფრო ჩრდილოეთით მტრის შემოტევები მოგერიებულ იქნა. ოსტროლენკას ჩრდილო-აღმოსავლეთით ბოლშევიკები შეეცადნენ ფართო ფრონტით გერმანელების მოგერიების ზოლის გარღვევას, მაგრამ მძიმე ბრძოლებში გერმანულმა ჯარმა მტრის შემოტევა უკუაქცია.

ბალტიის მხარეშიც მრავალი ადგილებიდან იტყობინებიან გაცხოველებულ ადგილობრივი ბრძოლების შესახებ.

შუა ფინეთში საბჭოთა ჯარები სცდილობდნენ უკანდახეული გერმანული ნაწილების დასწეოდნენ. ისინი სისხლიანი ზარალის მიყენებით იქნენ მოგერიებული.

ფინელი ლტოლვილები შვეციაში

სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობებით, შვეციას ფინელ ლტოლვილთა დიდი რაოდენობა მოაწყდა. მარტო ერთ საკარანტინო სადგურ უმეაზე (ჩრდილო შვეცია) უკვე 2.000 ფინელმა გაიარა.

დაგვიანებული მონანიება

რუმინეთის სააგენტოს ცნობით, რუმინეთის მთავრობის ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა და ერთ-ერთი ლიბერალ პარტიის ბელადმა მანიუმ განაცხადა: „ჩვენ არ ვმალავთ იმას, რომ ზოგი შეცდომები ჩვენგან დიდ მსხვერპლს მოითხოვდნენ და ჩვენს გულში ღრმა ჭრილობებს სტოვებენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტები აფრთხილებენ

გერმანელი ხალხის სიმტკიცე, მიუხედავად გერმანული არმიების უკანდახევისა წინავაზი თავდაცვის მიზნით, ინგლისის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. სამხედრო ექსპერტი კირილ ფოლსი „ილუსტრეიტიდ ლონდონ ნიუსში“ აღნიშნავს — გამარჯვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამხედრო სულისკვეთებას, ნაციონალ-სოციალისტები მზად არიან გამარჯვებამდე ბრძოლისათვის. იგი ფიქრობს, რომ გერმანიაში 20 ივლისის შემდეგ არავითარ განხეთქილებასა და უთანხმოებას ადგილი აღარ ექნება.

გერმანული ჯარების უკანდახევა შინაგანი ხაზის დაცვისათვის, მისცემს მათ გარკვეულ ტექნიკური ხასიათის უპირატესობას, როგორიც მაგალითად, სატრანსპორტო გზების შემცირებას, ფრონტების შემოკლებას და გაძლიერებული ჯარების კონცენტრაციას. გარდა ამისა, გერმანია აღარ ამარაგებს აუცილებელი საჭიროების საგნებით იმ ქვეყნებს, რომლებმაც თავი'ოთავი ბოლშევიკებს ჩააბარეს. ექსპერტს არ ავიწყდება კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ გერმანია ამჟამად, 1917 წელთან შედარებით არავითარ სასურსათო ნაკლებობას და სიძნელეს არ განიცდის.

ინგლისური ჟურნალი „ტაბლეტი“ სწერს: ინგლისელებისათვის საიდუმლოდ რჩება ამბავი 14 აგვისტოს შესახებ, როდესაც საყოველთაო იერიშების დაწყების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა ვერ შესძლეს ვარშავის დაკავება და აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრა.

გაზეთი „სენდეი ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ინგლის-ამერიკული ჯარების შეტევის მიუხედავად საფრანგეთსა და ბელგიაში, უკანასკნელი და გადამწყვეტი სიტყვა ჯერ-ჯერობით არ თქმულა. სატანკო ნაწილების შემდეგი წინსვლა კონტინენტის სიღრმეში გამოიწვევს მომარაგების პრობლემის გართულებას. დღემდე ინგლის-ამერიკელები სადესანტო შევსებას ლია სანაპიროზე აწარმოებდნენ. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ ზაფხულში, ეხლა კი შემოდგომის ქარიშხლის დაწყებისას მსგავსი ოპერაციების წარმოება შეუძლებელი გახდება.

„სენდეი ტაიმსი“ კითხვას აყენებს, შესძლებს თუ არა გერმანული მთავარსარდლობა დასავლეთის ფრონტის სტაბილიზაციის იმგვარად, როგორც აღმოსავლეთის ფრონტზე მოახერხა. ეს საკითხი ღიად რჩება, მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმ სისწრაფეზე, რითაც გენერალი პატონის სატანკო ნაწილები წაიწევენ წინ არდენზე.

მძიმე მდგომარეობა ფინეთში

ერთ-ერთი ესპანური გაზეთის სტოკჰოლმელი კორესპონდენტი ფინეთის მდგომარეობას შემდეგნაირად ახასიათებს: ფინეთის მოსახლეობამ ყოველგვარი ალტერნატივისა და სიხარულის გარეშე მიიღო ცნობა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ჯერ-ჯერობით მოსკოვის განზრახვები ფინეთის მიმართ უცნობია.

ჰელსინკიში სასოწარკვეთილებით აღნიშნავენ, რომ ფინეთი მომავალში გერმანიისაგან აღარ მიიღებს სასურსათო ტრანსპორტებს. ფინეთის მოსახლეობისათვის ეს გარემოება აუცილებლად შიმშილს მოასწავებს. ფინელებისათვის დახმარების გაწევა შვეციას არ შეუძლია, ვინაიდან მას თვითონ შემოაქვს სურსათი სხვა ქვეყნებიდან.

ფინელები გარბიან შვეციაში. მხარეში დაძაბული მდგომარეობა სუფევს. „სვენსკა დაგბლადეტის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკებთან „ზავის“ დადებით ფინეთს 1940 წელთან შედარებით, ეხლა გაცილებით მეტი სიძნელის გადატანა მოუწევს.

თვით ამერიკული ჟურნალი „ამერიკენ მერკიური“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მოქმედება ფინეთისადმი წარმოადგენს ატლანტიკის ქარტიის სინამდვილის მწარე გამოცდილებას.

ჟურნალს მოჰყავს ჩერჩილის მიერ 1941 წელს წარმოთქმული სიტყვები: „ჩრდილოეთის ყინულებზე მანათობელი თავისუფლების მზე თუ ჩავიდა, ეს იმ უძნელესი დროისაკენ დაბრუნებას მოასწავებს, როდესაც საკაცობრიო პროგრესის ნაკვალევი ორი ათასეული წლით გაქრება“.



ახალი გერმანული თვითმფრინავი.

მოწოდება რუმინული ჯარისადმი

რუმინეთის რკინის გვარდიის სარდალმა ხორია სიმამ რადიოთი მიმართა რუმინულ არმიას, რომელშიც მან სასტიკად გაჰკიცხა მეფის გამცემლობა. მოწოდებაში ნათქვამია: იმათ, ვინც რუმინეთს საბჭოთა კავშირისაკენ მიაქანებს, ხალხთან საერთო არაფერი აქვთ. ცხადია აგრეთვე, რომ ისინი იმყოფებიან უროული, ინტერნაციონალის სამსახურში, რომელიც რუმინელი ხალხის მეტი გაჭირვებით გამოწვეულ ზიზღსა და ალტაცებას ელტვა. მოღალატე მთავრობის გამცემლობა რუმინელი ერის სიკვდილს ნიშნავს და ყველა ის, ვინც გამცემელთა ბრძანებებს შეასრულებს, თავის სამშობლოს ლახვარს ჩასცემს გულში.

„გერმანელი ხალხის მოსპობა, განაგრძო მან, — შეუძლებელია. ტოტალური მობილიზაცია გერმანიას მისცემს აღებმიცემთა საჭირო რაოდენობას, მისმა გამომგონებელმა სულმა კი შექმნა იარაღი, რომელიც გაუმკლავდება ყველას, ვინც თავისი თავი ქვეყნის ბატონ-პატრონად წარმოიდგინა. რუმინელ ხალხს არ შეუძლია დაუძინებელი მტრების მხარეზე იყოს. დაარტყით მათ, ვინც თქვენ, რუმინელი ხალხისა და მისი უზრუნველყოფის წინააღმდეგ გიბიძგებთ. ვაჟკაცურად დაირაზმეთ მხოლოდ თქვენი ერთგული მოკავშირის გერმანიის მხარეზე! ჩვენი დროშები ისევ მაღლა აფრიალდება!“.

*

დანგრეულია ერთ მილიონზე მეტი სახლი

ბრიტანეთის ელჩმა ვაშინგტონში ლორდმა ჰალიფაქსმა რადიოთი მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობას. მან აღნიშნა ინგლისის მოსახლეობის სიმამაცე, რათა დაერწმუნებინა ამერიკის მოქალაქეები იმ გარემოებაში, რომ ინგლისელებს ამ ომის დროს განსაკუთრებული გამძლეობის გამოჩენა და გაჭირვების ატანა უხდებათ „V1“ მოქმედების შედეგად. ამასთანავე ლორდი ჰალიფაქსი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ სტატისტიკის უკანასკნელი ცნობებით ინგლისში დაზიანებული და დანგრეულია დაახლოებით ერთი მილიონი სახლი.

ოფიციალური განმარტების თანახმად, მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში სამხრეთ ინგლისში „V1“-ის 450 ბომბი დაეცა. ამრიგად, ბომბარდირების დაწყებიდან აფეთქებული მფრინავი ბომბების რიცხვმა ინგლისში 7.700 მიაღწია.

ჩვენი ასეული ლატვიაში

1.

ჩვენი ასეული დიდხნის განმავლობაში ლატვიაში იყო დაბანაკებული. ამ პატარა ქვეყანაში ცხოვრება, რომელიც მრავალმხრივ ჩვენს სამშობლოს მოგვაგონებს, მეტ ხალისსა და ენერგიას გვმატებდა. ჩვენი მებრძოლები იშვიათი თანაგრძნობითა და პატივისცემით იყვნენ გარემოცული ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ლატვიელები ჩვენ, ისევე როგორც გერმანელ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით კარგად გვექცეოდნენ. მათ უკვე გამოსცადეს რუს ბოლშევიკთა ბატონობის საშინელება, ხელშესახებად იგრძნეს, რას ნიშნავს ბოლშევიკური მთავრობის უღელი, ტერორი და გადასახლება. ისინი ჩვენ გვიყურებდნენ, როგორც მშველებს, რომლებიც ვიცავდით მათს სამშობლოს მოზღვავებული მტრის ურდოებისაგან.

ლატვიაში კარგად იცნობენ საქართველოს, იციან ჩვენი წარსული, მოსწონთ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის გმირული ისტორია, მისი ბრძოლები ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. და რამდენი მეგობარი, გულშემატკივარი მოიძებნება ამ პატარა, მაგრამ დიდი სულის მქონე მხარეში, რომლებიც საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ სთვლიან, ქება-დიდებას ასხამენ ქართველ მებრძოლთა თავისუფლებისათვის, თანაგრძნობას უცხადებენ ჩვენი ხალხის მეამბოხე განწყობილებას სამშობლოს სულთამხუთავთა წინააღმდეგ.

ქართველმა მებრძოლებმა დიდი ინტერესით წაიკითხეს ცნობილი ლატვიელი პოეტის პაველ როზიტსის ლექსი საქართველოზე, სადაც იგი, როგორც თავის სამშობლოს, ისე მიმართავს მისთვის შორეულ საქართველოს. და ვინ იცის, კიდევ რამდენ ლატვიელ პოეტსა და ხელოვანთ მოუვლენს აღფრთოვანებას ხმა საქართველოს სისხლისმსმელთა წინააღმდეგ, რამდენი კეთილშობილი გრძნობა გამოთქმულა ამ კოპწია ქვეყანაში ჩვენი სამშობლოს მიმართ!

რა შეიძლება აკავშირებდეს ლატვიასა და საქართველოს? ცხადია პირველ რიგში მებრძოლი სულის ერთიანობა რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელმაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ფეხქვეშ გასთელა საქართველოს თავისუფლება და თავისი სისხლიანი ხელით ლატვიასაც გადასწვდა. გერმანულმა არმიამ მეგობრული დახმარება გაუწია ლატვიელ ხალხს ბოლშევიკთა განსადევნად. იგი, ლატვიელ მამულიშვილებთან ერთად, დღესაც გმირულად იცავს პატარა ქვეყანას ხელმეორედ მოვარდნილი ბოლშევიკური ურდოებისაგან. აი, ასეთი საპატიო ამოცანის შესრულება დაგვეკისრა ჩვენც, ქართველ მოხალისეებს, რომლებიც გერმანულ ნაწილებთან ერთად მოვედით აქ მეგობარი ხალხის დასაცავად.

და ჩვენ ბედნიერნი ვართ, გვგონია, თითქოს ჩვენს სამშობლოს ვიცავდეთ, ჩვენს სანუკვარ საქართველოს! ძალაუნებურად მაგონდება იგივე პაველ როზიტსის ლექსი საქართველოზე და მინდა მისივე სიტყვებით მივმართო პატარა ლატვიას:

„ჩემო მეორე სამშობლო, რომლის
მინდვრებში მღერის იგი სიკვდილი,
შენს ზამბახებში მხეცური ხმებით
დარჩენს დუშმანი მკერდგაპობილი...

მამულისათვის მამა და ძმები
იბრძვიან, თვალში ცრემლი არ შრება,
დასტოვეს სახლი, მიწაზე მჯერა,
ჩქარა, სამშობლოს შველა სჭირდება!..“

2.

სამი აგვისტო დაუვიწყარი თარიღია ჩვენი ასეულისათვის. ამ დღეს ლატვიის ტერიტორიაზე პირველად დაიღვარა ქართული სისხლი. სანამ უშუალოდ ბრძოლაში ჩავებმოდით, ჩვენი ასეული ზურგში იდგა, ემზადებოდა საყარაულო სამსახურს და მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკ ბანდიტთა განადგურებაში. ფრონტის ხაზის შევიწროების შედეგად, ბრძანება მივიღეთ დაგვეკავებინა თავდაცვის პოზიციები. მგზავრობის ხანმოკლე პროცედურა. ყველა მოუთმენლად მოველით ადგილზე მისვლას. ნაშუადღევი იქნებოდა, როდესაც მივუახლოვდით ფრონტთან ახლო მყოფ ქალაქ ბ-ს.

ასეულის მეთაურმა მოკლედ გაგვაცნო ჩვენი აქ მოსვლის ამოცანა. ღამით ასეული ძიებაში წავიდა. ბრძანება გვქონდა მოკვეთილი: ზუსტად გამოგვერკვია მტრის ძალები და მისი საბრძოლო წერტების განლაგება. ღამე მეტად ბნელი იყო, სიარული გვიჭირდებოდა. ჩვენი ათეული გზის გაყოლებით ფეხაკრეფით მიდიოდა. ერთი გადამწყვეტი სოფელი უნდა დაგვეზვერა, სადაც წინასწარი ცნობებით, მტრის ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები ჰქონდა დადგმული. სადღაც ძაღლი ღმუოდა, ხანგამოშვებით მოისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სროლა. უეცრად ხმამაღალი, მკაფიო რუსული შეძახილი გავიგონეთ: „შესდექ, ვინ მოდის!“ ეს იყო ტყვიამფრქვევთან მდგომი წითელარმიელი გუშაგის ხმა. არ დავბნეულვარ, რუსულადვე მივახალე პასუხი: „ეს მე ვარ, მესამე ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი კუზნეცოვი“. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. წითელარმიელს ლეიტენანტის ხმის გაგონებაზე თავში ლაშბი. შემდეგ ისევ შემეკითხა: „შენ მანც რომელი ხარ?“ „ეს მე ვარ, ამხანაგო ლეიტენანტო, საგუშაგოზე ვდგავარ, ტყვიამფრქვევს ვდარაჯობ“. აღარ დავაყოვნე, წითელარმიელს ვეთხარი ჩემთან ახლოს მოსულიყო. გუშაგმა ბრძანება მყისვე შეასრულა. უნდა გენახათ, როგორ მელის თვალებსავით ანთებდა მისი თვალები, როდესაც ვუბრძანე: „ხელები მაღლა!“ სულ ბავშვი იყო, გამოუცდელი. ვეხვის ფოთოლსავით კანკალებდა, მზად იყო ტირილი დაეწყო...

სადგომში მშვიდობით დავბრუნდით, ჩვენი ტყვეც თან წამოვიყვანეთ. ამ მოქმედებისათვის მთელმა ასეულმა მადლობა მიიღო, „ენის“ მომყვანებმა კი — საპატიო ჯილდოები.

მეორე დღე თავისუფლად გავატარეთ. ღამე ისევ დაზვერვაზე წავედით, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. ამ ღამითაც მოვახერხეთ ბევრი რამის გაგება მტრის განლაგების შესახებ.

3.

მესამე დღეს ქალაქს რუსები მოაწყდნენ. მათი ტანკები ქალაქში შემოიჭრნენ და მისი დიდი ნაწილი დაიკავეს. გერმანულმა ჯარებმა და მათ შორის ჩვენმა ასეულმაც დასტოვეს ქალაქი და მის სამხრეთით თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს. მეორე დილით რუსები შემოტევაზე გადმოვიდნენ. მტერი უკუვაქციეთ და საგრძნობი ზარალიც მივაყენეთ. მოწინააღმდეგემ იერიში კიდევ ორჯერ გაიმეორა, მაგრამ ამაოდ. მაშინ, როდესაც მტრის რიგებში დიდი დანაკარგი იგრძნობოდა, ჩვენ, გარდა რამდენიმე მსუბუქი დაჭრის შემთხვევისა, ყველა მებრძოლი შევინარჩუნეთ.

საღამოს ოთხ საათზე ბრძანება მივიღეთ — ქალაქი კონტრშეტევით უნდა აგვეღო. ჩვენს ასეულს სამხრეთ-დასავლეთიდან უნდა შეეტია, სადაც მოწინააღმდეგის ყველაზე საგრძნობი ძალა იყო დაჯგუფებული. დაიწყო იერიში. ტყვიები, ნაღმები სეტყვასავით წამოვიდა რუსების მხრიდან. აკაკანდნენ ჩვენი ტყვიამფრქვევებიც. მოკლე გადარბენებით, მიწაზე ხოხვით უახლოვდებოდით მტერს. ჩემს გვერდით მეტყვიამფრქვევე დაეცა. მეორე ამხანაგს ნაღმის ნამსხვრევი მოხვდა. — მშვიდობით ძმებო, — გავიფიქრე და კიდევ წინ გავწიე. ქართველი უცნაური ჟინი, რომელიც ვაჟკაცურად მივიწევდით, მტრის ტყვიით განგმირული დაეცა. ეხლა კი გავმწარდით, შურისძიების გრძნობა გვიწვავდა ტვინს... ქართული „ვაშას“ ძახილით, თავდავიწყებით გადავეშვით წინ.

ღამის თორმეტ საათზე ქალაქი უკვე ჩვენს ხელში იყო...

მოხ. ქ. დ—ძე

გაზ. „საქართველოს“ საკუთარი კორესპონდენტი

ბრძოლა სამშობლოსათვის

მოგონებანი აგვისტოს აჯანყებაზე *

პოდპოლკოვნიკი ს. ზალდასტანიშვილი

მთელი საქართველო დაიყო სამოქმედო რაიონებად, თვითეულ ასეთ რაიონში დაინიშნენ სარდლები და მათი თანაშემწეები. ყოველ რაიონს მეთაურობდა გაერთიანებულ პარტიათა წარმომადგენელი. მას ემორჩილებოდნენ ამ რაიონის სარდლები. თელავის მაზრაში რაიონის სამხედრო წარმომადგენლები იყვნენ კაპიტანი მიხაილოვი (ბერძენი, საქართველოს ქვეშევრდომი) და ლეიტენანტი შ. სიდამონ-ერისთავი. გაერთიანებული ორგანოს მეთაურს წარმოადგენდა სოც.-დემოკრ. ფიროზი ([illegible]), ხოლო თანაშემწეებს — ეროვნ.-დემოკრ. რაზმაძე და მამწვილებელი გიორგი ცოცქიშვილი. იმავე მაზრაში შედგენილი იყო ოფიცერთა განსაკუთრებული რაზმი პოლკ. სოლომონ მაჭავარიანის მეთაურობით. მისი თანაშემწენი იყვნენ კაპ. ირაკლი გამყრელიძე და კაპ. დავით სულხანიშვილი. გურჯაანის რაიონს მეთაურობდა ლ. ჯანდიერი. თიანეთში, დუშეთში, კავთისხევში, მანგლისსა და ბორჩალოში ქაქუცა ნიშნავდა თავისი ხალხისაგან მეთაურებს, ხოლო თვითონ საერთო ხელმძღვანელობას უწევდა მათ. სიღნაღსა და გორს ჰყავდათ აგრეთვე თავიანთი უფროსები. ჭიათურის რაიონში სამხედრო წარმომადგენელი იყო პოლკ. ს. წერეთელი, ხოლო „დამკომის" წარმომადგენელი — გ. წერეთელი. სვანეთში — პოლკ. გარდაფხაძე, მისი თანაშემწე ბიძინა პირველი და ძმები დადიანები. სამეგრელოში — გენერალი თოფურია და როტმისტრი დავით მხეიძე. ქუთაისში სამხედრო ორგანიზაციაში შედიოდნენ პოლკ. მიქელაძე, პორ. გ. ჭაჭიაშვილი, გველია, ბარათაშვილი და სხვები. ქუთაისში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და სვანეთში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციებს მეთაურობდა ელისე პატარიძე. გურიაში სამხედრო წარმომადგენელი იყო გენერ. სოლ. ყარალაშვილი, ხოლო „დამკომის" წარმომადგენელი — ქ. ქავთარაძე. ბათუმში — გენ. ფურცელაძე, ჩიტაიშვილი და ეროვნ.-დემოკრატთა წარმომადგენელი მგალობლიშვილი.

რაიონების სარდლები ამოცანის შესრულების შემდეგ სამაზრო ქალაქს უნდა დაემორჩილებოდნენ. მთიელებთან იგზავნებოდნენ შემდეგი პირები: მაიორი გ. ბერიძე, როტმ. ვანო ავალიშვილი და შვიდი სხვა ოფიცერი. მათ ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ აჯანყებული მთიელებისათვის.

პირველი გამოსვლისათვის იარაღი საკმარისად გვქონდა, შემდეგ კი საწყობიდან ვიშოვიდით. მთავარსარდლის დანიშვნა და მისი შტაბის შედგენა უნდა მომხდარიყო მხოლოდ აჯანყების წინა თვეში. შტაბს მოწყობილი ორგანიზაციები დაწვრილებით უნდა შეესწავლა და სამოქმედო ბრძანებები დაეგზავნა. მთავარსარდლის დანიშვნისა და სამოქმედო შტაბის დაარსების შემდეგ სამხედრო კომისია ავტომატურად უქმდებოდა (ამ კომისიის წევრებს გამოცდილი მთავარსარდალი ალბათ შტაბის წევრებად შეიყვანდა, მაგრამ, სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა). 1923 წლის შემოდგომისათვის სამხედრო კომისიას თავისი მუშაობა დამთავრებული ჰქონდა, ე. ი. აჯანყებისთვის ხალხი უკვე დარაზმული ჰყავდა. აჯანყება მთელ საქართველოში ერთ დღეს, ერთდროულად საათში უნდა დაწყებულიყო, მოულოდნელად.

* გაგრძელება. იხ. „საქართველო" № 36 (113).

შეუჩერებლად ემოქმედა, სანამ მტრის რიგებში დემორალიზაცია არ მოხდებოდა.

15.

ვინაიდან ამ აჯანყების გადამწყვეტი როლი ქაქუცას თავისი შეფიცულებით უნდა ეთამაშა, ამიტომ საჭიროდ ვცანით პირადად ქაქუცასთან მოგველაპარაკა. გადავწყვიტეთ მისი თბილისში ჩამოყვანა, რათა მასთან შეთანხმებით მიგველო აჯანყების გეგმა და დაგვენიშნა დრო. ამ საქმის მოგვარება მე ვიკისრე. 1923 წლის დეკემბერში, ქაქუცა ერთი მანდილოსნის საშუალებით, თავის ორ შეფიცულთან, სერგო მაისურაძესა და გაბო ოზიაშვილთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. პირველი ღამე ერთ ოჯახში გავატარეთ. მეორე დღეს, საღამოთი, იგი დაესწრო სამხედრო კომისიის კრებას და ამ კომისიის მიერ დამუშავებული გეგმა მთლიანად გაიზიარა. ქაქუცა თბილისში რვა დღეს დარჩა. ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი სამხედრო პირი ინახულა, რომელთაგან თანხმობა მიიღო, რომ გამოსვლის წინადღეებში მას შეუერთდებოდნენ და თბილისს ერთად მოადგებოდნენ. რვა დღის შემდეგ ქაქუცა და მისი შეფიცულები, ტყვია-წამლით დატვირთულნი დუშეთის მიდამოებში გადავიდნენ.

16.

„დამკომის" პოლიტიკური მუშაობაში შედიოდა კავშირის აღდგენა ყველა ორგანიზაციასთან ქალაქებსა და სოფლებში. გარდა იმისა, რომ ყველგან დანიშნული ჰყავდა თავისი წარმომადგენლები, მან კავშირი გააბა სომხებთან, აზერბაიჯანელებთან და მთიელებთან. პირველ ორთან კავშირი ჰქონდათ სოც.-დემოკრატებს, მესამესთან — ეროვნულ-დემოკრატებს.

ქაქუცა პირველად შეხვდა მთიელების წარმომადგენლებს 1923 წ. მათ „დამკომისაგან" მოითხოვეს პოლიტიკური წარმომადგენელი მანდატით, რომელთანაც სურდათ ოფიციალური ხელშეკრულების დადება. „დამკომმა" მიიღო მათი წინადადება და ოქტომბერში გაგზავნა გიორგი წინამძღვარიშვილი მოსალაპარაკებლად ქ. გროზნოში. აქ ალი მიტაევმა მეჯლისი მოიწვია. გ. წინამძღვარიშვილმა მოხსენება გაუკეთა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და სთხოვა მთიელებს მიეღოთ მონაწილეობა ქართველებთან ერთად. მეჯლისმა ერთხმად გაიზიარა ქართველების წინადადება. გ. წინამძღვარიშვილი ერთ კვირამდე დარჩა გროზნოში, მოაგვარა რამდენიმე ტექნიკური საკითხი და უკან დაბრუნდა. „დამკომზე" მისმა მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ოქტომბრის გასულს მთიელთაგან კაცი ჩამოვიდა მდგომარეობის გამოსარკვევად და თან მოითხოვა რამდენიმე ქართველი ოფიცერი აჯანყებულთა ხელმძღვანელობისათვის. ნოემბერში „დამკომს" ხალხი უკვე დარაზმული ჰყავდა გამოსასვლელად. მან თავის წრეში აჯანყების დაწყების საკითხი დასვა.

მიღებულ იქნა დადგენილება: აჯანყება მომხდარიყო 1924 წლის თებერვლის დასაწყისში. მანამ კი ვასო ნოდია და გიორგი წინამძღვარიშვილი გაიგზავნენ საზღვარგარეთ საერთაშორისო მდგომარეობის გამოსარკვევად. მათ დაევალათ პოლიტიკური მუშაობისათვის ხალხის წამოყვანა, [illegible] კავშირისთვის, არ წამოსულიყვნენ, რადგან მათი წამოსვლა საქმეს დიდად ავნებდა.

შეთანხმების გამო „დამკომმა" გაგზავნა მხოლოდ ვასო ნოდია.

სტამბულიდან ვასო ნოდიასაგან ცნობა მივიღეთ, მშვიდობიანად ჩავედი და ვეცდები თებერვალში უკან დავბრუნდეო.

„დამკომმა" დააჩქარა მუშაობა. მოიწვია ყველა ქალაქიდან და მაზრებიდან თავისი წარმომადგენლები, მოისმინა სამხედრო კომისიისაგან მოხსენება ძალების რაოდენობის შესახებ, შეიტანა მასში ზოგიერთი შესწორება და თანაც იმავე კომისიას დაავალა თებერვლისათვის მუშაობა დაემთავრებინა და მზად ყოფილიყო აჯანყებისათვის.

მაგრამ ამ პერიოდში მოხდა მეტად სამწუხარო ამბები: ჩეკამ ხელში ჩაიგდო აქტიური და ენერგიით აღსავსე პირები: ჯერ ნ. ხომერიკი, შემდეგ გოგიტა ფაღავა (აზერბაიჯანთან კავშირის გაბმის დროს იგი გასცა ბაქოდან ჩამოსულმა კაცმა). ამ ხანებშივე დააპატიმრეს გიორგი წინამძღვარიშვილი. მისი შეპყრობა მოხდა სწორედ მაშინ, როცა იგი ქაქუცასთან იარაღს აგზავნიდა.

ხალხმა ნერვიულობა დაიწყო. მოითხოვდნენ გამოსვლას ან მუშაობის შენელებას, ვინაიდან უკვე დარაზმულ ხალხში კონსპირაციის შენახვა დიდხანს შეუძლებელი ხდებოდა.

სამხედრო კომისიაში გ. ფაღავას ნაცვლად შემოვიდა ლ. ბერთაძე, რომელიც ერთი კვირის მუშაობის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა. იგი შეცვალა ნაპ. კახიანმა. აპრილში ესეც ხელში ჩაუვარდა ჩეკას. მის ნაცვლად შემოვიდა პორ. ჯინორია. ამ ხალხის დაჭერამ ძალები გაგვინახევრა, ჩაშლილი ორგანიზაციების აღდგენა მაისში ძლივს მოვახერხეთ.

17.

საბრძოლველად გამზადებული რაზმები მოქმედების დაწყებას მოითხოვდნენ. ამ მოსაზრებით, ზოგიერთ რაზმს რომ თავისი ნებით მოქმედება არ დაეწყო, როგორც ეს 1922 წელს მოხდა, „დამკომმა" გადაწყვიტა თავისი წარმომადგენლები დაეგზავნა მაზრებში ხალხის დასამშვიდებლად. ამ დროს ორი დიდი რაზმი — ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მიხეილ ლაშქარაშვილისა ბინადრობდა კავთისხევის მიდამოებში. ორივეს სურვილი ჰქონდა გაერთიანებისა. ამ გარემოებით ვისარგებლე და წავედი ქაქუცასთან მოსალაპარაკებლად. მე და ქაქუცასაგან გამოგზავნილი შათირი თბილისის სადგურიდან ღამით გავედით. იმავე მატარებლით მიემგზავრებოდა ლაშქარაშვილის მეუღლეც. სადგურ ზემოხანდაკში ჩამოვხტით. ქ-ნ ელენე ლაშქარაშვილისას ერთი გლეხი მიუახლოვდა და გააფრთხილა, სოფელი ჩეკისტებით სავსეა, გზებს სდარაჯობენ, ვინაიდან გაუგიათ, ერთ-ერთი რაზმის ამ რაიონში ბინადრობაო. ჩეკას ადგილობრივი წარმომადგენლები ქ-ნ ელენე ლაშქარაშვილისას კარგად იცნობდნენ, ამიტომ იგი სიფრთხილის გამო იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო თბილისში, მე კი გადავწყვიტე სიბნელით მესარგებლა და დანიშნულ ადგილას ქაქუცას შევხვედროდი.

გზას გავუდექით, ცოტა მოშორებით გამიძღვა ქაქუცას შათირი. წყვდიადში ძლივს გავარჩიე მებორნის პატარა ქოხი. მასში ცეცხლი ენთო. შათირმა ცეცხლის დანახვაზე ხელით მანიშნა მოსალოდნელი საფრთხე, მაგრამ უკანდახევა უკვე გვიან იყო. ქოხიდან რამდენიმე შეიარაღებული კაცი გამოვიდა და შათირს ლაპარაკი დაუწყო. გადავწყვიტე — პირდაპირ მივსულიყავი მათთან. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, რამდენად შევინარჩუნებდი სიმშვიდეს. ბორანს ჯერ მიმოსვლა არ დაეწყო, რომ პირდაპირ მტკვრის მეორე ნაპირზე გადავსულიყავი და ამ ხალხთან ლაპარაკი ამეცდინა. ქოხში შევედი თუ არა, მილიციონერები ფეხზე წამოდგნენ. ნება ვითხოვე ცეცხლთან გათბობისა, თანაც იქაური სოფლების გამოკითხვა დავუწყე, ვითომ ოჯახობისათვის სააგარაკოდ ბინას ვეძებდი. ერთმა მირჩია — დილით მას წავყოლოდი, დამპირდა — თავის სოფელში კარგ და იაფ ბინას მიშოვნიდა. ამავე დროს შევამჩნიე, რომ ამ ხალხმა რაღაც ჩურჩული დაიწყო. შათირი გარეთ გაიყვანეს და გამოკითხვა დაუწყეს — ლაპარაკი ჩემს პიროვნებას ეხებოდა. შათირმა ყველაფერზე უარი განაცხადა, მათი ჩურჩული მშვენივრად მესმოდა. ქაქუცასთან შეხვედრაზე უკვე აღარ ვფიქრობდი. მთავარი იყო ამ ხალხისაგან თავი როგორმე დამეღწია. გავიფიქრე — სჯობს დილით ამათ წავყვე და მართლაც სააგარაკო ბინას დავიქირავებ-მეთქი.

ის იყო რიჟრაჟი დაიწყო, მტკვრის მეორე მხარეს მებორნეც გამოჩნდა, აამუშავა ბორანი და ჩვენს ნაპირს მოადგა. ქოხიდან გამოვედი და მილიციონერებს მივმართე წამომყოლოდნენ. ისინი ცოტა შეტორტმანდნენ, იჩურჩულეს, შემდეგ კი ერთმა მათგანმა მირჩია — მე თვითონ წავსულიყავი, ისინი კი ათიოდე წუთში დამეწეოდნენ. უკვე იმედი მომეცა, ამ ხიფათისაგან თავის დახსნას შევძლებ-მეთქი, მტკვრის მეორე ნაპირზე გავედით მე, შათირი და კიდევ ერთი გლეხი. აშკარა იყო, მილიციონერებს გადაეწყვიტათ შორიდან თვალის დევნება. უკვე შეუძლებელი ხდებოდა შათირთან ერთად მგზავრობა. უნდა ერთმანეთს დავშორებოდით, საღამოს კი სადმე მინდორში კვლავ შევხვედროდით. დრო რომ ვიხელთე, ჩემი გადაწყვეტილება შათირს შევატყობინე. რამოდენიმე წუთის შემდეგ მას დავშორდი და სხვა ბილიკით კავთისხევისაკენ გავემართე. ჩემს ბედზე ამ დღეს კვირა იყო და მინდორში მუშაობა არ სწარმოებდა. პატარა ბუჩქებს შევეფარე და საღამომდე მწყურვალმა გავძელი. ცოტა მოგვიანებით შათირმა ქაქუცა მოიყვანა. მას ახლდა თავისი შეფიცული ლელო ჩიქოვანი. მათაც იმ დღეს ბევრი რამ გამოეცადათ. სოფელში მოთარეში ჩეკისტები რამდენჯერმე იმ ვენახსაც კი მისდგომოდნენ, სადაც მათ, სანამ კარგად არ დაბნელდებოდა, თავი შეეფარებინათ.

შათირი უკან სოფელში დაბრუნდა, ჩვენ კი იქვე ახლოს ციხის ნანგრევებში შევედით და საქმეს შევუდექით. ქაქუცას გავაცანი მდგომარეობა და „დამკომის" სახელით ვთხოვე მოთმინება გამოეჩინა, რადგან გამოსვლა საქართველოში და მთიელებში ერთად უნდა მომხდარიყო, ეს კი საჭიროებდა ზოგიერთი საკითხის მოგვარებას.

გამოსვლის გადადება მაინცდამაინც არ ესიამოვნა ქაქუცას, მაგრამ რას იზამდა. საქმე მორჩილებას თხოულობდა. აქვე გადავწყვიტეთ მთავარსარდლის კანდიდატურა დაგვესახელებინა. ბევრი ლაპარაკის შემდეგ გენერალ ს3. ჭავჭავაძეზე შევჩერდით. საქმე რომ დავამთავრეთ, ქაქუცამ მოითხოვა თავის ბინაზე წაყვანილიყო და დანარჩენი რაზმელებიც ენახა. სიამოვნებით დავთანხმდი და მაშინვე გზას გავუდექით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

ნაირნაირი შენიღბვის სხვადასხვა მოდელები.

გ ა დ ა რ ჩ ა!..

ქართველი მოხალისე შოთა მაისური გონს მოვიდა, თავი ასწია და ბუნდოვანი მზერით ერთ წერტილს დააშტერდა. მის ქვეშ ფოთლები შრიალებდა, ხეთა კენწეროებს შორის ლილისფერი ცა მოსჩანდა, მარჯვნივ ჩირგვები იყო, ხოლო წინ ზღვასავით ღელავდა დამწიფებული ყანა. ჩამავალი მზის სხივები ოქროსფრად ავარაყებდნენ დამძიმებულ თავთავებს. აქა-იქ თავს იწონებდა ამაყი ყაყაჩო, ირგვლივ რაღაც თავისებური სურნელება ტრიალებდა...

მაისური კიდევ კარგად ვერ გამორკვეულიყო. იუტანელი ტკივილები ბეჭში, სახიდან რაღაც სითბე ჩამოსდის. თითქოს გამოსაფხიზლებლად, სულ ახლოს სროლის ხმა გაისმა, მას მეორე მოჰყვა, მესამე... ტყვიებმა ავტო გააჩერეს. შემდეგ მასთან რომელიღაც ფიგურებმა მოირბინეს... შოფერმა დამბაჩა იძრო, დაიწყო სროლა. აი, დაეცა ბორბალი, მეორე ხელში ეცა, ეჰ, დამხმარენი კიდევ მორბიან, ვაზნები კი უკვე გამოლია. შოთა ბრძოლი დაფიქრებული, ინსტინქტურად წამოხტა, ჩირგვებს მიაშურა, გზას გადაურბინა, მზის სხივებზე დამსხვრეული მანქანის ლითონის ნაწილები აბჭყვიალდა. ირგვლივ, სისხლის წვეთები, რაღაც მჩეროება მჭრია. უკან კვლავ დაიჭექა, ტყვიებმა ახლო გაიზუზუნეს, ფოთლები შეაშრიალეს. შოთა ისევ ჩირგვებს დაუბრუნდა. იკანკალით გარბის, ყოველ წუთში იცვლის მიმართულებას, უკან ყილაცები მისდევენ ყვირილით, აურზაურით. მაისურმა იქამდე ირბინა, სანამ ქანცგამოლეული ჭაობში არ ჩავარდა.

ხმები სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. ჭაობიდან ძლივს ამოძვრა, დილიანს მოფუთხავდა მუცლით მაღალ ბალახში, ღამის წყვდიადმა დაიფარა მებრძოლი. გათენებისას გზა გააგნო, მზის საშუალებით მიახერხა ორიენტირება და ბანაკისკენ შეერია. მისი მიმართულება დასავლეთით იყო. ორი დღის განმავლობაში არავინ შეხვედრია, უმ სოკოსა და ასკილს სჭამდა, ეძინა ხშირ ბუჩქებში. დათენთილი სხეული მგვემდა, დაჭრილი ბეჭი სიცოცხლეს უმწარებდა. პურანგი ჩაიხია და ჭრილობა შეიკრა.

მესამე დღეს ბუჩქებიდან მის წინ გამოძვრნენ ორნი ჭუჭყიანი სამოქალაქო ტანსაცმლით და მაშხანებით ხელში. შოთა არ დაიბნა, ავტომატი აამუშავა, სანამ ვაზნები არ გამოელია. კვლავ ჩირგვებს შეერია, ტყეს კი ბოლო არ უჩანდა. ფეხები ელარ ემორჩილებოდა.

რამდენი დღე გავიდა? სიარული უკვე შეუძლებელია, ხოხვით, ზაყაყისებური ნაბიჯებით მიიწევს წინ. ბოლოს ტყის ნაპირიც გამოჩნდა. ძლივს!.. მაისურს ლაპარაკი შემოესმა, ჩირგვებიდან თავი გამოჰყო. ტყის ნაპირას, ქოხის გვერდით, წითელარმიელები გზაზე ნაღმებს აწყობდნენ. ისევ ჩირგვებში შეიმალა და ფრთხილად გახოხდა წინ. აი, ბორცვიდან დაკლაკნილი გზა გადაეშალა თვალწინ, მასზე ტანკების სილუეტები. მაგრამ ვისია? უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, წინ გაცოცდა. გული ჩიტსავით უფართხალებდა, თავს იმედით იმშვიდებდა, — ხომ შეიძლება გერმანელების ტანკები იყოს!.. მაშინ ხომ გადარჩება! მიწაზე დაიხარა, პურის ღეროები გადასწია — მუხლუხების ხმაურით მის გვერდზე მძიმე ტანკი მიბაჯბაჯებდა. მზის სხივებზე შორიახ ტანკის კოშკს დიდი წითელი ვარსკვლავი შეამჩნია. ძალა დაჰკარგა და ფხვიერ მიწაში გულაღმა დაეცა.

როცა ხელახლა გამოერკვა, აფეთქებათა ხმაურმა ყურები გამოუჭედა. მარჯვნივ, სადღაც ტყვიამფრქვევი კაკანებდა, იქვე, შორიახლოს სცდებოდნენ ყუმბარები; ირიოდე ნაბიჯის მოშორებით, რაღაცამ ყანა გადათელა. ტანკმა გადაიარა. თავი ასწია... აი, მეორეც. ნაცრობი ყვითელი ფერი და თეთრი ჯვარი კოშკზე. მეავტომატეთა ფიგურები მტრედისფერ ფორმაში. ბორცვზე გადაბრუნდა, გორვით გზაზე გამოვიდა და ხელი ასწია. ტანკი, რომელიც პირდაპირ მისკენ მოდიოდა, გაჩერდა. შოთა შიგნით შეიყვანეს. მაისურმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და წაიჩურჩულა:

— იქ, ქალის ნაპირას, წითელსახურავიან სახლთან, გზატკეცილი დანაღმულია...

— გმადლობთ, მეგობარო!

მას კიდევ ესმოდა ბრძანების მკაფიო სიტყვები, თუმცა გონება უკვე ერთმეოდა. სატანკო ოცეული გაიშალა და გასწია იქითკენ, სადაც წითელსახურავიანი სახლი ეგულებოდა.

მოხ. ბ. შ—ელი.

კუ-კლუქს-კლანის განახლება

როგორც ნიუ-იორკიდან იუწყებიან, ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტში" გამოქვეყნდა შენიშვნა ცნობილი ანტიუროფლი ორგანიზაციის კუ-კლუქს-კლანის განახლების შესახებ.

„კუ-კლუქს-კლანი, — სწერს გაზეთი, — დეტროიტში აწყობს ფარულ მოძრაობას და წინასწარ ემზადება იმ დღისათვის, როდესაც ამერიკელი ჯარისკაცები ფრონტებიდან სამშობლოში დაბრუნდებიან. კლანის წევრები მუშაობენ ორგანიზაციის ილდგენისა და თეთრი ამერიკელი პროტესტანტების საბრძოლოდ დარაზმვისათვის კათოლიკების, ურიათა და ზანგების წინააღმდეგ, რაც დაიწყება მას შემდეგ, როგორც კი დასრულდება დემობილიზაცია და ათასობით მუშები უმუშევრად დარჩებიან".

ბერლინის საზღვრის დასაცავად...

მეგობარ პოეტს

მოხ. ლირა ლირიძე

თუ პოეტი ხარ, გულში გიდუღს გრძნობების ცეცხლი,
ნუ შეუშინდები მოხეტიალე მტრების მეჭერს.
ნუ დაინანებ, ვით ქვეშეთი ასრულდა დაჭრილ,
რომ გასკდეს მტრებში, როგორც მეხი, როგორც ყუმბარა!

ვინც ტკბილი ძილით გაიბრუჟა, მითხარ ვინ არი?
ერთი სიტყვისთვის, ერთ რწმენისთვის სისხლი დაეღვარა.
რის მაქნისი ხარ დაყუჩული გულში გრიგალი,
თუ რომ გულშივე ჩაიკრეფ და შიგვე ხამარეთ!

ცხოვრებისა და სიცოცხლეს უხდიან ვალი,
ხალხი აღსიბეგებით ჩამოვლა ბრძოლების ზარი,
თვით უბრალო ცამ იცის მეხი და ქარიშხალი,
შეხედეს შეიდო, რომ დადუმდა სირცხვილი არი!

თუმცა ძრივით ჭაბუკ ხარებ დადგა ფარი..
ეჰ, მომიტევეთ... მაპატიეთ ცოდვები ჩემი; —
რომ მე ხანდახან გამიტაცებს სიშორიდან ფიქრი,
ჩემი სიცოცხლის დაკარგვაზე მეტყვეს ცრემლი...

ჩემო ქვეყანავ! შენთანა ვარ ასე დამთვრალი,
ცრემლების გუბე თუით არ ვიცი, ჩემში რაი არი,
თუმცა კურცხალი დამდენია შენთვის მრავალი,
მაგრამ ეს გული ბრძოლებისთვის მუდამ მზად არი!

*

შენი ვარ უშენოდაც

მოხ. ბ. სოჯხეთელი

ცის ფასზეგრძ, მიუწვდომელ ფერებში
შეუცნობი სილამაზე ყავი.
ჩაიძირა უცნობ ნაპრალებში.
დაეცხა... გაქრა... ვერ დაიწვა.
სად არ მჭროდა შენი გული ოცნება,
არ იცნობდა სევდასა და კაეშანს,
ნაპრადეობდა აწევვებით თარეშით
და ზღვიდან ძირს ჩემამდე დაეშვა.
გაუჭვებდა სიყვარული უბიდო,
მოროთოდა მის მღელვარე ჩქერებში,
ბნელ ღამეებს ათეირებდა უხილავ
და თეთრ დღეებს ხვდები ხინლერებში.
განხიეთ ლამე? ვარსკვლავთა ნათურებით
მიკვმავე. — ვით ჩვეულებრივ ნატვრული.

ცაზე მოვარე დაცხრა ჩვენი ეურჩით
და მიწაზე — ვეთილები ზღვანიელი.
სიზმრების გასცდა ჩვენი დაგვე-წამება...
დაგცდა: „ქალო, შენი ვარ უშენოდაც",
დაიბინდე... უცებ ენაც დაგება
და შენს ბაგეს ტკბილი კოცნა შეეხოდა.
არ დამცილდა შენი ეშხის დარებში
დამეკრიოდა ვეთილების კოცნება,
არ მელარსა აღიქმულ სინეტარეში
გამეცრა აღიქმული შთაგონებით!..
დღეღამეები ბრინჯის მკერდზე დაერიდა
და შვიდური ვალმილეც გზვენიდა;
თუმც შორსა ვარ, შენგან შორით გაყრილი,
მაგრამ მაინც შენი ვარ უშენოდაც!

ძვირფასი სამაჯური

თორა სვენდსონი

კოპენჰაგენი...

ტაქსიმოტორიდან სავსე მოვიდან და მოავარი სადგურის ლამაზი შენობა...

დღეს მზე ნაზად ანათებდა, როდესაც თორკენ ლარსენი, შეახნის კარგად ჩაცმული მამაკაცი, ავტოდან გადმოხტა და სადგურის მაღალ კიბეს აჰყვა.

— მატარებლის მოსვლას კიდევ ერთი საათი უკლია, კარგი იქნება ჭიქა კონიაკი დავლიო, — გაიფიქრა მან და სასადილო ოთახისაკენ გასწია. სუფრასთან შესამჩნევლად მას ჯერ კიდევ სახე ნაზად არ გადაუდგა, როდესაც ბარში... [illegible]

— ბიძია თორკენ! — მოულოდნელად შესძახა მას პატარამ და ორივე ხელებით კისერზე ჩამოეკიდა. — რა კარგია, ჩემო ბიძიავ, რომ თქვენ სადგურში შეგხვდით!

მის ცხოვრებაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ იგი ქალების წინაშე დაბნეულიყო. [illegible] ... გინა გოგონა მშვენიერი ქალწული! მან მაშინვე მიიხედა, როგორი ბიზნესი უნდა დაეწყო და მხიარული სახით მიმართა ლამაზ ნაცნობს:

— ხომ კარგად იმგზავრე, ჩემო კარგო?

— კარგად, კარგად, ჩემო ძვირფასო ბიძიავ. თქვენ ისევ ისე კარგი და გულკეთილი ხართ! — მხიარული ჭიკჭიკით უპასუხა გოგონამ და ნაზად მოეფერა. თორკენის ლოყები მკრთალი ფერით დაიწვა. თორკენ ლარსენს მეტის მოთმენა უკვე აღარ შეეძლო. მან ფრთხილად, მაგრამ გაბედულად მიიზიდა ხელი გოგონას და კოცნაზე კოცნა დაუწყო. ამის შემდეგ ისინი კარგი მეგობრები და დიდიხნის ნაცნობები შეიქნენ.

— მითხარი, ჩემო კარგო, ხომ არ დაიღალე?

— ჩემო ბიძიავ, თქვენ კარგად იცით, რომ მე მოგზაურობა აქ გიყვართ!

— მართალია, სრულიად დამავიწყდა. აქ ისე ცხელა, რომ აღარაფერი ... ხსოვნები ხაშუალება არა აქვს.

— ღმერთო, მიშველე! — გაიფიქრა მან და, აჩქარებით გოგონას შეხედა. იგი მართლაც რომ მშვენიერი იყო. ... [illegible] ...

— მოგწონვარ, ბიძიავ?

— ჰმ, ჩემო გოგონა, შენ უკვე დიდი გაზრდილხარ, სრულიად არ მოველოდი! — სავარძელზე ხელი წაიტანა, მისწია და ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა.

— რა გქვიათ ჩვენ ეხლა?

— სანამ ბიცოლასთან წავიდოდეთ, მინდა კოპენჰაგენი დაგათვალიერებინოთ. თქვენ ხომ წერილით შემატყობინეთ ამის? ნუთუ უკვე დაგავიწყდა?

— ღმერთო ჩემო, საიდან უნდა ვიცოდე ეს? — გაიფიქრა მან, და შეამჩნია, რომ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ღრმად ეფლობოდა ბურუსით მოცულ ნაცნობობაში, მაგრამ ლამაზი გოგონა და მოსალოდნელი სიამოვნება ... [illegible]

— როგორ თუ დაგავიწყდა! ნუთუ შენ გგონია, რომ ცუდი მეხსიერება მაქვს? ხვალის ... [illegible] ... ხომ კარგად არის?

— რომელი ბიცოლა იცის? — გაკვირვებით წამოიძახა გოგონამ და მხედველობა სადღაც შორს მიმართა.

— მაპატიე, ჩემო კარგო, მინდოდა მეთქვა ბიცოლა ტონი!

— აჰ, ბიცოლა ტონი?!! მაგრამ ის ხომ დიდიხანია გარდაიცვალა! — სწრაფად წარმოსთქვა მან და თვალები თორკენს შეანათა.

— ვიცი, ჩემო ბავშვო, მაგრამ დღეს ისეთი სიცხეა, რომ ყველაფერი ერთმანეთში მერევა. განდა, საზაფხულოში წავიდეთ?

— ოჰ, რათქმა უნდა, ბიძიავ! — ბავშვური აღტაცებით წარმოსთქვა გოგონამ და თორკენს ხელი მკლავში გაუყარა. ... [illegible]

— რას დალევ, ჩემო გოგონა?

— რასაც ყოველთვის ვსვამ, როდესაც თქვენთან ვარ, ბიძიავ!

— ლიმონადს?

— არა ბიძია, შამპანურს.

— კეთილი. — თორკენმა სასწრაფოდ შეუკვეთა შამპანური, ხილი თავისთავად—ყავა კონიაკით. ... [illegible]

— ბიძია თორკენ, აი, აქ არის ის ძვირფასი ვიტრინის სამაჯური, რომელიც მე თქვენ შემპირდით, როდესაც ჩვენთან იყავით! შეხედეთ, ბიძიავ, რა კარგია! ხუთასი ათასი, როგორიცაა მე მინდოდა. ლამაზ ძვირფასი თვლებით! — გოგონა ისე მონუსხული უყურებდა. ... [illegible]

— Tak, Tak, mange Tak! — რაც ნიშნავს: მადლობა, გულითადი მადლობა.

თორკენი ქმაყოფილი გარეთ გამოვიდნენ. თორკენ ლარსენი დარწმუნებული იყო, რომ გოგონას გული ხაზგასმით მოიგო, მაგრამ მას ჯერ კიდევ ირიოდე ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული, როდესაც გოგონამ უეცრად წამოიძახა:

— ბიძია თორკენ, აი გადაღმა ბიცოლა ანა მოდის, ხედავთ? თქვენ აქ მომიცადეთ. მე მას ეხლავე მოვიყვან!

თორკენი გაკვირვებული და ეჭვებით სავსე ადგა და უცდიდა პატარა გოგონას, მაგრამ იგი არსად ჩანდა. ... [illegible] ...

„დღეს პოლიციამ დააპატიმრა იუველირული სანიმუშოს მეპატრონე 27 წლის ანნა სანდერსი, რომელიც მასთან მიყვანილ 17 წლის გოგონასთან ერთად ბაზრებში ... [illegible] ... მათ შორის თითქოს „ბიძიას" მან დიდძალი დაანახვა. ... [illegible] ... მთლიანად 18 სხვადასხვა მამაკაცი მოატყუეს!"

რამოდენიმე წამი სასოწარკვეთილი სახით მეფის მოგონებებში ჩაძირული ... [illegible]

— ვერ წარმომიდგენია, — ... [illegible] ... რომ გაგვა?

ყველაფერ... [illegible] ...

გერმანულიდან თარგმნა მოხ. თამაზ ჩოხელმა.

მემაპიანის ... წლოანოთბიდან

პოლონელთა ახალი „მხსნელი"

მოსკოვში გაწვრთნილი მიკოლაიჩიკის ინგლისში დაბრუნების შემდეგ, ბრძოლა პოლონელთათვის ჯალათებისა და ჩერჩილის შორის მეტი გამძაფრებით გრძელდება. მკვდრებს რა ეყოფათ, არა მარიონეტს, მოსკოვისა და მიკოლაიჩიკს, ჯალათები და ჩერჩილი ადასტურებენ არამარტო მათ, როგორც პოლონელი ხალხის ინტერესთა წარმომადგენლების უფლებებს, არამედ იმეორებენ ... [illegible] ... რუსეთის ... მეტით როგორც პირველს, ისე მეორეს.

[illegible]

ბულუხვი სახუჭარი

[illegible]

არტილერია კარპატის მთებში.

გეოგრაფიის მოყვარულთ

კითხვები

1. საით იქნება მიმართული კომპასის მაგნიტური ისარი ჩრდილო პოლუსზე?

2. დაასახელეთ უმოკლესი მანძილი ხაბაროვსკსა და ნიუ-იორკს შორის?

ჩვენ იქვე გვსურს დავსვათ ორი, პირველი შეხედვით უცნაური კითხვა:

1. იცით თუ არა თქვენ, რომ ჩვენს ცთომილზე არის ორი ლონდონი და ორი ტემზა? ერთი ლონდონი და ერთი ტემზა თქვენ, ევროპაშია, იცით სად არის, მაგრამ დაასახელეთ სად მდებარეობს მეორე ქალაქი ლონდონი და მეორე მდინარე ტემზა?

2. რა ნიშნის დაუწერლით მოწაფეს, რომელიც კუნძული კუბას აღწერილობას დაიწყებდა შემდეგნაირად: „კუნძულ კუბაზე იზრდება მხოლოდ ხავსი და გვიმრა, იქ არის მეტად ცივი ჰავა, ცხოველთა სამყაროდან გვხვდება თეთრი დათვი და ა. შ."?

კითხვების პასუხები
№ 88 (110):

1. მოპირდაპირე წერტილის პოვნა დედამიწის ზურგზე შეიძლება მერიდიანებისა და პარალელების საშუალებით. სად უნდა გავიდეს წარმოდგენითი ხაზი, მაგალითად, ბერლინიდან, დედამიწის ცენტრზე გავლით? ცხადია, იგი გავა სამხრეთ ნახევარსფეროში, ვინაიდან ბერლინი მდებარეობს ჩრდილოეთით. გრძედის გრადუსი (პარალელი) იქნება იგივე, რაც აქვს ბერლინს. რაც შეეხება განედს, ბერლინის მერიდიანს უნდა მივუმატოთ 180 გრადუსი. მიღებული პარალელისა და მერიდიანის გადაკვეთის ადგილზე სამხრეთ ნახევარსფეროში იქნება ბერლინის მოპირდაპირე პუნქტი.

2. „ძველი" ზელანდია არის ჰოლანდიის ერთერთი პროვინცია. ახალ აღმოჩენილ კუნძულებს ჰოლანდიელებმა უწოდეს „ახალი ზელანდია".

3. სტამბული

ვიძლევით პასუხებს წარსულში მოთავსებულ მარტივ გეოგრაფიულ კითხვებზე:

1. ყველაზე გრძელი მდინარე არის მისისიპი მისურით (ამერიკაში).

2. ყველაზე მრავალწყლიანი მდინარე — ამაზონკა (ამერიკაში).

3. ყველაზე მაღალი მთა — ევერესტი ჰიმალაის მთებში, მისი სიმაღლე 8,9 კილომეტრს უდრის.

4. ყველაზე დიდი ვულკანია მაუნტ ლოა ჰავაის კუნძულებზე, მისი კრატერის დიამეტრებია 6 კილომეტრი 3 კილომეტრზე.

5. ყველაზე დიდი ტბაა კასპიის ზღვა, ფართობი — 434 ათასი კვადრატული კილომეტრი.

6. ყველაზე ღრმა ტბაა ბაიკალი, მისი სიღრმე 1,5 კილომეტრს აღემატება.

7. ყველაზე დიდი ჩანჩქერია ნიაგარა ამერიკაში.

გეოგრაფიული თამაშობა

გეოგრაფიული ცოდნის შემოწმებისა და გაღრმავებისათვის საუკეთესოდ მიგვაჩნია შემდეგი გეოგრაფიული თამაში. მოთამაშენი წინასწარ ირჩევენ ორ ან სამ ქვეყანას. მაგალითად, გერმანია და იტალია, რუსეთი და იაპონია, საფრანგეთი და ინგლისი და ა. შ. საჭიროა წერილობით დახასიათდეს ეს ქვეყნები. აღწერილობაში აუცილებელია შევიდეს პასუხები შემდეგ კითხვებზე: 1. მოსაზღვრე სახელმწიფოები, 2. სატახტო ქალაქი, 3. მთები და მდინარეები, 4. ზღვები, 5. ქვეყნის სახალხო მეურნეობის ტიპი, 6. მოეწყველობის წამყვანი დარგი, 7. მოსახლეობის რაოდენობა.

ქვეყნის დახასიათება უნდა დაიწეროს რუკისა და გლობუსის დაუხმარებლად. თვითეულ სწორ პასუხზე მოთამაშეს ეწერება ერთი ქულა, ხოლო იმ პასუხზე, რომელიც სხვა მოთამაშეებმა ვერ დასწერეს — ორი ქულა. არასწორი პასუხები არ ითვლება. თამაში უნდა გაგრძელდეს წინასწარ განსაზღვრული დროის განმავლობაში (10-15 წუთი). მოგებულად ჩაითვლება ის, ვინც ყველაზე მეტ ქულას შეაგროვებს.

ნარკვევი

ნოტების ხელით საბეჭდი მანქანა

გერმანიის ტექნიკამ ერთერთ საუკეთესო მიღწევად უნდა ჩაითვალოს მუსიკალური ნოტების ხელით საბეჭდი მანქანის გამოგონება. გარეგნული ფორმით და სიდიდით ის ძალიან მგავს ჩვეულებრივ ხელით საბეჭდ მანქანას. მანქანას აქვს 44 კლავიში. თვითეული მათგანი შეიცავს სამ სხვადასხვა ნიშანს: ნოტებს, რიცხვებს, პირობით მუსიკალურ ნიშნებს და ასოებს ტექსტისათვის.

ტექნიკამ ამ იშვიათი ნაწარმოებით შეიძლება თავისუფლად სწერით პარტიტურები სასიმღერო ტექსტით.

თეთრი და შავი სამოსწავლო დაფა

[illegible]

გასართობი ამბები

ვაკუუმი

მამა გაზეთს კითხულობს. შვილი მეცადინეობს.
შ ვ ი ლ ი: მამა, რა არის ვაკუუმი?
მ ა მ ა: თავში მაქვს, შვილო, მაგრამ ვერ ამოხსნია.

სულელი

[illegible]

საუკეთესო საშუალება

[illegible]

სამხრო

[illegible]

დასჯილი გულადი

[illegible]

მუსიკის მცოდნე

[illegible]

— საათები?! არა, ჩემო კარგო, თქვენთვის წლებია საჭირო!

იცით თუ არა თქვენ?

რა საჭიროება სწრაფად ფრენას?

ზოგიერთს ჰგონია, რომ თვითმფრინავის სისწრაფის გადიდება დამოკიდებულია მოტორის კონსტრუქციაზე. რასაკვირველია, ეს ნაწილობრივ მართალია, მაგრამ გადამწყვეტ როლს თამაშობს ის მასალა, რომლისგან აკეთებენ თვითმფრინავის ფრთებსა და ჩონჩხს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სისწრაფის გადიდებასთან ერთად იზრდება ჰაერის წინააღმდეგობა, რაც გამოიწვევდა თვითმფრინავის ფრთებისა და მთელი ტანის დამსხვრევას. აქედან გამომდინარე, სისწრაფის გადიდება უშუალოდ დაკავშირებულია მასალის ხარისხთან. ჰაერის წინააღმდეგობის შესამცირებლად, მფრინავები ადიან მაღლა, სადაც ჰაერი შეთხელებულია, მაგრამ აქაც რაიმე ევაკუაციის მიღება შეუძლებელი შეიქნა. რომ მოხერხდებოდეს საათნადო ზომებში თვითმფრინავისათვის ისეთი ფრთების გაკეთება, როგორიც აქვთ სწრაფად მფრენ ფრინველებს, მაგ. მერცხალს, მაშინ შეიძლებოდა სისწრაფის იმდენად გადიდება, რომ წარსული სასაცილოდ მოგვეჩვენებოდა.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 29 აგვისტოს ნომერში, მე-4 გვერდზე მოთავსებული წერილის „ბრძოლა სამშობლოსათვის" სარედაქციო შენიშვნაში, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გაპარულია შეცდომა. პოდპოლკოვნიკი ს. ზალდასტანიშვილის გარდაცვალების შესახებ ცნობა ასე უნდა შესწორდეს: ს. ზალდასტანიშვილი 1911 წლის 5 დეკემბერს გარდაიცვალა ქ. ბუკარესტის (რუმინეთი) ერთერთ საავადმყოფოში" და შემდეგ, როგორც ტექსტშია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
პაატა ვარძიელი

წერილები უნდა გამოიგზავნოს
შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Potsdam, am Minenberg, Baracke 47.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა

ქვემეხთა განვითარების ისტორია

[illegible]

— მის. ბ. ვ.